პროგრამის სახელწოდება - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

კვალიფიკაცია - კვალიფიკაციას არ ანიჭებს

პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 60

სწავლების ენა - ქართული

პროგრამის მიზანი

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროფესიონალი მასწავლებლის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით, რაც მას საშუალებას მისცემს, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს შეუქმნას ადეკვატური სწავლა-სწავლებისშესაფერისი გარემო. სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა ეფუძნება იმ პრინციპს, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება და მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პოტენციალი, ამის შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს სათანადო კვალიფიკაციის, ცოდნისა და უნარების მქონე პირთა მომზადებას, რომლებიც სრულად აცნობიერებენ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას და შეუძლიათ არსებული გამოწვევების ფონზე საუკეთესო გამოსავლის მოძიება, დასახული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა.

პროგრამა ეფუძნება სპეციალური მასწავლებლის პროფესიულსტანდარტს და სრულად ითვალისწინებს „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში“ მოცემულ დებულებებსა და რეკომენდაციებს.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა -
კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას:
1. მას უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი
2. მას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში და ა.შ. სწავლების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტი

A. ახდენს ცოდნის დემონსტრირებას ინკლუზიური განათლების არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ;
B. ისგ-ს შემუშავების პროცესში განსაზღვრავს ესგ-ს ადაპტაცია/აკომოდაცია/მოდიფიკაციის შესაძლებლობას და აცნობიერებს სწავლა-სწავლების პროცესში პოზიტიური გარემოს მნიშვნელობას.

C. აცნობიერებს ბავშვის განვითარების კანონზომიერებასა და თავისებურებებს სწავლა-სწავლების პროცესში და ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ინდივიდის სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებას;
D. აანალიზებს და ასაბუთებს სასკოლო საზოგადოების (სკოლა, ოჯახი, თემი) მოლოდინების, დამოკიდებულებების, მხარდამჭერი ღონისძიებების გავლენას ინდივიდის აკადემიურ მიღწევასა და კეთილდღეობაზე.

უნარები

E. ამოიცნობ ინდივიდის სავარაუდო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებას და ახდენს სპეციალისტთან დროულრეფერირებას.
F. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან ერთად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების საფუძველზე, ადგენს და ახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, მათ შორის უზრუნველყოფს სასწავლო გარემოში თანამონაწილეობისა და მიკუთვნებულობის ხელშეწყობას;
G. მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ტრანზიციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;
H. იყენებს უნივერსალური სასწავლო დიზაინის პრინციპებს განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

I. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას იცავს პროფესიულ ეთიკას;
J. უშაობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპების საფუძველზე;
K. განსაზღვრავს საკუთარ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს პროფესიულ განვითარებას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება შედეგების მიღწევის სხვადასხვა მეთოდი. ამ მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს თეორიეული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექცია, სემინარი;
- ანალიზი/სინთეზი;
- დისკუსია/დებატები;
- ევრისტიკული მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობა (სემინარი, სასწავლო/საველე პრაქტიკა);
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- ელექტრონული რესურსებით სწავლება;
- ჯგუფური მუშაობა;

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- შემთხვევის ანალიზი;
- სუპერვიზია;
- გონებრივი იერიში;
- ინტროსპექცია და თვითრეფლექსია;
- კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება;
- სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები;
- ესეს, რეფერატის, პრეზენტაციის მომზადება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს სახელმწიფო რეგულაციის საფუძველზე მიღებულ თსუ–ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას, კერძოდ, რომ დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება უნდა განხორციელდეს 100–ქულიანი სისტემით. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

სტუდენტის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი საშუალებები:

- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- პრეზენტაცია;
- წერილობითი ნაშრომი;
- პრაქტიკული სამუშაო;
- პრაქტიკის ანგარიში;
- პორტფოლიო;

სილაბუსით გათვალისწინებული შეფასებისკომპონენტები შესაძლებელია აერთიანებდეს შეფასების შემდეგ მეთოდებს:

- ტესტი;
- ქვიზი;
- ღია კითხვა;
- ესე;
- პრეზენტაცია;
- დემონსტრირება;
- მოხსენება;

- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი (წერითი ნაშრომი);
- კითხვა–პასუხი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- თეორიული დავალების შესრულება;
- ჯგუფური დავალების შესრულება;
- დისკუსია–დებატებში მონაწილეობა;
- პრაქტიკის ანგარიში;
- რეფლექსია;

სასწავლო გეგმა
/იხ. დანართი 1 /

პროგრამის ხელმძღვანელი :

დასაქმების სფეროები:
ზოგადსაგანმანათლებლო ან/და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, დღის ცენტრები, სარეაბილიტაციო დაწესებულებები, მცირე საოჯახო ტიპის ცენტრებში.

დამატებითი ინფორმაცია

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ორ სემესტრიანია. პროგრამის დასრულების შემდეგ, სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული 60 კრედიტის მოგროვების საფუძველზე, გაიცემა მასწავლებლობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

პედაგოგიური პრაქტიკა მოიცავს 10 კრედიტს.

მისაღები კონტიგენტი შეადგენს არაუმეტეს 30 სტუდენტისა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს აქვთ სათანადო გამოცდილება და ასევე პედაგოგიური და დარგობივი კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. იგივე ეხება ასევე პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაციას, რომლებიც აკმაყოფილებენ დარგობრივ მახასიათებელში გაწერილ მოთხოვნებს (უმაღლესი საგნამანათლებლო დაწესებულების პრაქტიკაში ჩართული პირისთვის: არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი სპეციალური განათლების, განათლების ან/და ფსიქოლოგიის მიმართულებით, და ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკაში ჩართული პირისთვის: ინკლუზიური განათლების სფეროშისწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, არანაკლებ უფროსი მასწავლებელიან/და უფროსი სპეციალური მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი).პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება პარტნიორ სკოლებში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება სრულად არის უზრუნველყოფილი სწავლა-სწავლებისთის საჭირო ინვენტარითა და ტექნიკურისაშუალებებით, სათანადო ფართით. ასევე მოცემულია:

- სათანადო საინფორმაციო–ტექნოლოგიური და სხვა სახის მატერიალურ–ტექნიკურისაშუალებებით აღჭურვილი კაბინეტები და აუდიტორიები;
- მუდმივად განახლებად წიგნადი ფონდი
- საერთაშორისო ელექტრონულსაბიბლიოთეკო ბაზებსა და სხვა შესაბამის სასწავლო მასალებზე წვდომა;
- შესაბამისი სასწავლო მულტიმედიური მასალები;
- სხვა/დამატებითი რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომლებიცუზრუნველყოფს სწავლა-სწავლების, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:

სასწავლო პროგრამის სახელწოდება:

სწავლების საფეხური: --

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი:

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	საკონტაქტო საათები		დამოუ-კიდებელი მუშაობა	საგანზე დაშვების წინაპირობა	ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტი-კუმი			
სავალდებულო კურსები (60 ECTS)							
პირველი სემესტრი							
1	სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები	5	15	30	80	გარეშე	მზია წერეთელი, თამარ მახარაძე
2	ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში	5	15	30	80	გარეშე	გიორგი ახმეტელი
3	ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება	5	15	30	80	გარეშე	ირინე ჟვანია თამარ აბაშიძე,
4	მხედველობის დარღვევის მქონე პირთა სწავლების მეთოდები და განვითარების თავისებურებები	5	13	30	80	გარეშე	მარიამ მეტრეველი
5	ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეების განათლება	5	15	30	80	გარეშე	ია აფთარაშვილი
6	ინკლუზიური განათლების მეთოდური საკითხები	5	15	30	80	გარეშე	თამარ ისაკაძე ეკატერინე დგებუაძე
მეორე სემესტრი							
7	ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეების განათლება	5	15	30	80	გარეშე	მაია წულაძე
8	დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია	5	15	30	80	გარეშე	მარიამ მიქიაშვილი ანა მიქიაშვილი
9	ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია	5	15	30	80	გარეშე	მარიკა არევაძე

10	აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობა სკოლაში	5	15	30	80	გარეშე	თამარ გაგოშიძე
12	პრაქტიკა 2	10	90		35	გარეშე	ანა მიქიაშვილი